ოქმი:ო05. 3726043001
თარიღი:12/02/2026

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 11 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12:00 – 12:30-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. კილაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ი. ჩიკაშუა, ტ. აროშიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი
თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, აღნიშნა, რომ ამგვარი გეგმის არსებობა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, რადგანაც ახლო წარსულში იყო სტიქიური მოვლენები, ამავე საკითხზე ვრცლად ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული დადგენილება მომზადებულია კომპენტენტურ სამსახურებთან ერთად, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ ისაუბრა გეგმის კონკრეტულ საკითხებსა და თავებზე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა აკმაყოფილებს თვითმმართველობის ნორმატიული აქტის პროექტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და იგი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა, განაცხადა, რომ პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, განსაზღვრულ ვადებში მუნიციპალიტეტის საკრებულოში შენიშვნები და წინადადებები არ შემოსულა, გეგმა შეისწავლილ იქნა კომისიის წევრების მიერ,

გეგმაში აღმოჩენილ იქნა რიგი ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც აღმოიფხვრება შესაბამის სამსახურებთან ერთობლივი მუშაობით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და სხდომის თავმჯდომარის მ. ჩხიკვიშვილის შენიშვნის გათვალისწინებით მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი